

სპორტის სფეროში დამსახურებულ
მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები

ვეტერან სპორტსმენტა და სპორტის
მუშაკთა სოციალური დახმარების

პ რ ო გ რ ა მ ა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

თ ბ ი ლ ი ს ი

2017 წ.

1. პროგრამის აღწერა და მიზანი

ვეტერანი სპორტსმენებისათვის, ოლიმპიური თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებისათვის, პრიზიორებისათვის, ინვალიდი სპორტსმენებისა და ღვაწლმოსილი მუშაკებისათვის დახმარების აღმოჩენა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, სახელმწიფოს მხრიდან მათზე ზრუნვა.

1.1.ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების გაწევის წესი და პირობები

I. ეროვნული სპორტული ფედერაციების, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან/და სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის (აღნიშნული ორგანიზაციების გამგეობის, პრეზიდიუმის, აღმასკომის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად) ან გამონაკლის შემთხვევებში, სხვა სასპორტო დაწესებულებების (მათ შორის საგანმანათლებლო) და ორგანიზაციების წარდგინებების ან ასევე, გამონაკლის შემთხვევებში პირადი განცხადების საფუძველზე, ყოველთვიური დახმარების დასანიშნავად განიხილება საპენსიო ასაკს მიღწეული კანდიდატურები (*ქალები 60, მამაკაცები 65, თუმცა, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გარკვეული გამონაკლისები ასაკთან დაკავშირებით*), ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე ინვალიდები, ტრამვირებული სპორტსმენები და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული შესაბამისი კომისიის მიერ გამონაკლისის წესით შერჩეული სპორტსმენები და სპორტის მუშაკები. იმ პირებს, რომელთათვისაც ახალი წლის დაწყებიდან დახმარების ოდენობის შეცვლის ან მოხსნის თაობაზე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი მომართვები, ავტომატურად გაუგრძელდებათ დახმარების გაცემა იგივე ოდენობით, რაც ჰქონდათ მათ დანიშნული წინა წელს (ანალოგიურად ხდება თვეების მიხედვითაც).

II. ყოველთვიური დახმარება ინიშნება კანდიდატის სპორტული მიღწევებისა და დამსახურებების, ასევე შესაძლოა სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით 90-დან 150 ლარის ფარგლებში. აღნიშნული თანხების ფარგლებში შესაძლებელია დახმარების როგორც გაზრდა, ისე შემცირება.

III. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე სხვადასხვა ოდენობით ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე ერთჯერადად მიეცემათ დახმარება (10 000 ლარის ფარგლებში) ვეტერან სპორტსმენებსა და სპორტის მუშაკებს საიუბილეო და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სოციალური გაჭირვების, მატერიალური პირობების, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან/და მკურნალობის (ოპერაციის) გამო პირადი განცხადების ან ეროვნული სპორტული ფედერაციებისა ან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის, ან გამონაკლის შემთხვევებში (2017 წლის 1 იანვრიდან), სხვა სასპორტო დაწესებულებების (მათ შორის საგანმანათლებლო) და ორგანიზაციების შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე ვეტერან სპორტსმენებსა და სპორტის მუშაკებს.

IV. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, სხვადასხვა ოდენობით 200 - 10 000 ლარის ფარგლებში ერთჯერადად მიეცემათ დახმარება გამოჩენილ სპორტსმენტა და სპორტის მუშაკთა გარდაცვალების შემდეგ მათი ოჯახებისათვის (მათ შორის წინა წლებში გარდაცვლილი პირების ოჯახებისათვის, აღნიშნული პირების მიღწეული შედეგებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით) თანადგომის აღმოჩენის მიზნით.

შენიშვნა:

1. ყოველთვიური დახმარების სიაში მყოფი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ყოველთვიური დახმარების გაწევა წყდება ავტომატურად, გარდაცვლილი პირის ყოველთვიური დახმარების სიიდან ამოღების შესახებ მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

2. ყოველთვიური დახმარების სიაში (ან ოდენობის ცვლილების შესახებ) ცვლილების შეტანის თაობაზე და ერთჯერადი დახმარების გაცემის თაობაზე შესაბამისი შუამდგომლობების ან პირადი განცხადებების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ, კომისია აღნიშნულ საკითხს განიხილავს უახლოეს სხდომაზე და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ყოველთვიური დახმარების სიაში (ან ოდენობის ცვლილების შესახებ) ცვლილების შეტანა და ერთჯერადი დახმარება გაიცემა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

3. იმ შემთხვევაში, თუ თვის განმავლობაში ყოველთვიური დახმარების სიაში (ან ოდენობის ცვლილების შესახებ) ცვლილების შეტანის თაობაზე შესაბამისი წარდგინება არ იქნება განხილული თვის ბოლომდე, აღნიშნულ თვეში ყოველთვიური დახმარება გაიცემა წინა თვის ოდენობით.

4. კომისია იკრიბება პერიოდულად, თავმჯდომარის ზეპირი გადაწყვეტილებით.

2. პროგრამის შესრულების ვადები

შესრულების ვადები: დაწყება-01.01.2017 დამთავრება-31.12.2017

3. პროგრამის საერთო ღირებულება

ვეტერან სპორტსმენტა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მთლიანი ასიგნების თანხა შეადგენს 700 000 ლარს.

4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

5. მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

ვეტერან სპორტსმენტა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების პროგრამის საშუალებით სახელმწიფო უზრუნველყოფს ერთის მხრივ, დამსახურებულ სპორტის მუშაკთა ღვაწლის დაფასებას, მათთვის გაუმჯობესებული ცხოვრების პირობების შექმნას და მეორეს მხრივ, მომავალ თაობებში სპორტის მიმართ ინტერესის და მოტივაციის ზრდას.

ინდიკატორები:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა;

ერთ ბენეფიციარზე გაცემული დახმარების ოდენობა.

